

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Member of GECLA and British Folklore Society

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლიტერატურათმცოდნეობის ქართული ასოციაციის (GCLA) და ბრიტანეთის ფოლკლორული

საზოგადოების წევრი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Mytho-Folklore Motifs in the Novel „The Cry of the Goddess“

by Grigol Robakidze

მითო-ფოლკლორული მოტივები გრიგოლ რობაქიძის რომანში

„ქალღმერთის ძახილი“

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10936>

Grigol Robakidze's life was inseparable with the world's tumultuous social-political life of his time. He as a writer was presented in the centre of literary-cultural world of Europe and Georgia, took part in its modernization as a public figure, publicist, philosopher, poet and prose writer. Born and brought up in Georgia, young Robakidze boldly invaded European cultural life preserving his Georgianness and tried to cast the native theme into European mould. He is considered to be one of the founders of the modern psychological novel where the theme of a strong, mighty woman is dominant. His novel “ The Cry of the Goddess “ is its example.

Key words: Goddess Dali, Ivilite, Tanbi, Iulon

საკვანძო სიტყვები: ქალღმერთი დალი, ივლიტე, თანბი, იულონი

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა (1880-1962) ისეთივე მშფოთვარე და მრავალ-წახნაგოვანი იყო, როგორც მისი ეპოქის მსოფლიოს ისტორია. იგი განცალკევებულად არ მდგარა იმ დროის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრების შუა-გულში იმყოფებოდა და მის მოდერნისტულ ტრანსფორმაციაში სიტყვითა და კალმით იღწვოდა როგორც საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი-პოეტი და პროზაიკოსი. საქართველოს კოლორიტულ კუთხეში – იმერეთში გაზრდილი ჯერ კიდევ ჭაბუკი გაბედულად შეიჭრა ომდროინდელი ევროპის კულტურულ ცხოვრებაში, პატრიოტ ქართველად დარჩა.

ქართული თემატიკა დასავლურ ყალიბში მოაქცია, რითაც უძველესი ქართული კულტურის ევროპულ სარბიელზე წარმოჩენას ცდილობდა. ფეხი აიდგა საქართველოში, დავაჟკაცდა ევროპაში და სამშობლოში დაბრუნებულმა საჯარო ლექციებით ააფორიაქა მიძინებული ინტელიგენცია, ახალი ევროპული ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გავრცელებით ბიძგი მისცა და უწინამძღვრა ქართული ავანგარდზმის შექმნას, ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას. იგი თანამედროვე ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომელშიც ძლიერი ქალის თემა წინა პლანზეა წამოწეული. მწერალი მითმომქელობის უზადლო ოსტატია. „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო“, აცხადებდა რობაქიძე. ბოლშევიკური

რეჟიმის გაძლიერების შემდეგ საქართველო დატოვა, გერმანიაში წავიდა და შემოქმედებითი მოღვაწეობა იქ გააგრძელა. ქართული მოდერნიზმიც ამ პერიოდიდან იწყებს ბუნებრივი განვითარების ხელოვნურ წყვეტას. გრიგოლ რობაქიძე და მისი შემოქმედება გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ტაბუდადებული იყო საქართველოში.

გრიგოლ რობაქიძის რომანი „ქალღმერთის ძახილი“, რომლის ქართული დედანი დაკარგულია, საქართველოში მკითხველისთვის რომანის გერმანულენოვანი ტექსტის ქართული თარგმანის საშუალებით გახდა ხელმისაწვდომი (მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე, გამოცემა 2012 წელს, გამომცემლობა „არტანუჯი“). ნაწარმოები გერმანულ ენაზე 1934 წელს დაბეჭდილია დიდერიხის გამომცემლობაში სახელწოდებით „დალი“, რომელიც ნადირთღვთაება დალისთან დაკავშირებული მითოლოგიური წარმოდგენების პოეტურ ემანაციას წარმოადგენს. რობაქიძის მიერ რომანში შემოტანილი მითიური სამყარო, დალის მაცდურობა, სილამაზე ხელოვნურად კი არ არის მოგონილი, არამედ ეყრდნობა ქართულ ტრადიციებს, სამონადირეო მითოსს.

ქართული სამონადირეო მითი და ფოლკლორი, ისევე როგორც ქართული (სვანური) ქორეოგრაფია უძველესია და ღვთაება დალის უკავშირდება (თათარაძე, 1976). გადმოცემით დალი ძლიერი გავლენის მქონე ენერჯის მატარებელი ქალღვთაებაა: ცხრომის კვირაში კვილით ზიანს აყენებს ბუნებას – მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს, ადამიანებს, რაც მის ლუნარულ ბუნებაზე მიანიშნებს (ვირსალაძე, 1964, გვ. 79).

რომანის სიუჟეტი ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებს: სვანეთს, ლეჩხუმს და სამეგრელოს უკავშირდება. მწერალი წარმოგვიდგენს სიზმრის მოდერნისტული აღქმას: ორად გაყოფილ სამყაროს, რეალურისა და ირეალურის გამთლიანების პროცესს, რომელიც სიზმარში იწყება ახალგაზრდა სვანი მონადირის თანხის მიერ ქალღმერთი დალის ხილვით. ყმაწვილს დალი ბავშვობიდან იზიდავდა, როცა ბიძამისის ჭუნირზე ნამღერ ამბებს ისმენდა მაცდურ ქალღმერთზე. გადმოცემით დალიმ თანხის პაპის პაპა განთქმული მონადირე ყანსავე მარგიანი აცდუნა. ყანსავემა ქალღმერთს მიწიერ ქალთან უღალატა, განრისხებულმა დალიმ შური იძია, მონადირეს ბოლო მოუღო. თანხიმ ყანსავის ცხოვრების გზა აირჩია, რომ ქალღმერთი დალი ოდესმე ერთხელ მაინც ენახა, დალით შეპყრობილი (დალეი კუდნე) გახდა. უმამოდ გაზრდილი ოცდაორი წლის თანხი სვანეთში უკვე სახელგანთქმული მონადირეა, უცნაური არსებაა: უყვარს ღვთაებრივი ძაფის გაბმა და საუბარი ყვავილებთან, ხის მოჭრას განიცდის, მისი ჭროლა თვალები სიცხეში გაწოლილ დიდრონ ხვლიკებს აწრიალებენ, ნაირნაირ კენჭებს აგროვებს და მათში იდუმალ თვალებს ჭვრეტს, დედაკაცები მის დანახვაზე ფითრდებიან, როცა მამაკაცებს სიმღერაში აჰყვება მისი ანკარა ბანი ექსტაზურად და ბობოქრულად ჟღერს (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 16-18). თანხის მეგობარი და მესაიდუმლე, წარსულში სახელგანთქმული მონადირე ბექუზაა, რომელიც თანხიში თავის ახალგაზრდობას ხედავს, მამობრივ კეთილმოსურნეობას იჩენს და თანხის ნადირობას მუდამ თვალს ადევნებს. რომანი სისხამ დილით თანხისა და ბექუზას სანადიროდ წასვლით იწყება. მონადირეებს საგზალი თხის ტყავის აბგაში უწყვიათ. თხა ამინდის ღვთაების ზოომორფული სიმბოლო იყო წარმართულ საქართველოში და თხის ტყავი მონადირეს ავდრისგან იცავდა.

ღამეს მღვიმეში ათევენ. გვიან ღამით თანხი მღვიმედან გამოდის და წიფლის ხესთან დგება, რა დროსაც კლდიდან მწყაზარი ნათება გამოკრთება და წიფლის ხეს დაემგერება. თანხი ნათებაში ქალღმერთ დალის შეიცნობს და წიფელს მხურვალედ ჩაეკვრება (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 11). ბექუზა თეთრ ჯიხვს კლავს, რომელიც სვანების წარმოდგენით დალის რჩეულად ითვლებოდა.

სვანები მთიელთათვის დამახასიათებელი თავისუფლების მოყვარეობით და დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდნენ. სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ზემო – თავისუფალ სვანეთად და ქვემო – „ცხენისწყლის“ სვანეთად იყოფა. რომანში აღწერილია სვანების უძველესი წეს-ჩვეულებები: ფალოსის დღესასწაული, „თანაფა დღეს“ ღმერთისთვის ხარის – „უსხვას“ შეწირვის ტრადიცია, ივლისის თვეში ზაფხულის დღესასწაულ „ხალიშზე“ სვანეთის საკრალური დროშის „ლემის“ გამოტანის რიტუალი, სამლოცველო ლაგურკისა და კალას კვირიკეს ხატის ისტორია.

თანხის თავგადასავალი საქართველოს ისტორიულ კუთხეს ლეჩხუმს უკავშირდება. ლეჩხუმი უამრავი ციხე სიმაგრეების წყალობით მტრის შემოსევის დროს დევნილი სამეფო და სამთავრო

ოჯახების თავშესაფარი იყო, ხვამლში ქართველ მეფეთა განმსაცავიც ყოფილა. XVIII საუკუნის დასაწყისში ლეჩხუმის სამეგრელოს სამთავროს ნაწილი გახდა. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში შესვლი შემდეგ ლეჩხუმის მაზრა შეიქმნა, რომელშიც ზემო და ქვემო სვანეთიც შედიოდა და ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა (1867 წ.). სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნემდე ოდიშის სამთავროდ იწოდებოდა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ „ოდიშის“ სახელწოდება „სამეგრელოდ“ შეიცვალა, რომელსაც დადიანთა დინასტია განაგებდა. 1804 წლიდან სამთავრო რუსეთის იმპერატორს დაექვემდებარა. მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ვითარდება. გრიგოლ რომაქიძის რომანის მთავარი გმირები სვანეთის, ლეჩხუმისა და სამეგრელოს თავადთა წარმომადგენლები არიან, რომლებიც ძველი მოგონებებით ცხოვრობენ. მათ მდორე ცხოვრებაში მოულონელად შემოიჭრება სვანეთიდან სეზონური სამუშაოს საძებნადად ჩამოსული ახალგაზრდა მონადირე თანზი.

თანზის ცხოვრებაში ჩნდება ცოცხალი დალი – ლეჩხუმის თავადის იულონ გელოვანის მეუღლე, დადიანების ასული ივლიტე, რომლის შესახებაც თანზის ყურმოკრულად სმენია. მის გარეგნობას და ხასიათს ქალღმერთ დალის ადარებდნენ. თავადი ორმოცდაშვიდი წლის იყო, გამორჩეული იბერიული ჯიშის, ტანადი, ბრგე, სიცოცხლის წყურვილით აღსავსე, ფეხი დადამბლაგებული ჰქონდა. სამწუხაროდ ცოლ-ქმარი უშვილოები იყვნენ. თავადის ოთახში კედელზე ნადირობის თემატიკით ამოქსოვილი ხალიჩა ეკიდა: ახალგაზრდა მონადირე და ირემი, გასწვრივ ხარჯიხვის ყანწები, ირმის რქები, ხმლები, ხანჯლები და თოფი. ბუხართან წიგნებით სავსე კარადა იდგა. ერთმანეთის გვერდით ეწყო წმინდა წერილი, ფსალმუნები, მიცვალებულის მოსახსენიებელი ლოცვები, საქართველოს ანალები, „ვეფხისტყაოსანი“, კავკასიური და ირანული ეპოსები, ძველი სამედიცინო წიგნი „კარაბადინი“, სპარსული და ქართული მინიატურები. თავადს უყვარდა მსოფლიოს ამბებზე საუბარი ერთგულ მოურავ იასონთან (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 39-41). ცოლ-ქმრის სახელები მწერალს საგანგებოდ შეურჩევია: ივლიტეც და იულონიც ლათინური წარმოშობისაა, ორივე ივლისის თვეს უკავშირდება და როგორც რომანიდან ირკვევა არც თუ შემთხვევით (ჭუმბურიძე, 1971, გვ. 79, 116).

იულონი გამთენიისას დამბლადაცემული ფეხის ტკივილმა გამოაღვიძა, ადგა და ცოლის ოთახისკენ გაემართა, ოთახი ცარიელი იყო, საწოლი აშლილი, ლოგინი მიმოზნეული. ნუთუ მთვარემ ისევ აცდუნაო, წარმოსთქვა თავადმა. მთვარეულობისგან სამი წელია შეტევა არ მოსვლიაო, ღალატზე გაფიქრებაც არ უნდოდა, სირცხვილად მიაჩნდა. ნაღველი სტანჯავდა – უნაყოფობა ხომ სიკვდილის სუნთქვას ნიშნავდა (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 40-44). ივლიტე, იულონის მეუღლე – წმინდა სისხლის მეგრელი ქალი, ცნობილი გვარის დადიანის ასული, დღენაკლული დაიბადა. დედას მოაცილეს თუ არა, მყისვე დაკლული ხარის სისხლიან ფაშვში ჩააწვინეს. მისი ძიძა თავად დადემქელიანის ცოლი ყოფილა. რომანში ჩნდება ძიძიშვილი ოთარ დადემქელიანი. მკითხველისთვის ბუნდოვანია ივლიტესთან მიმართებაში ოთარის ურთიერთობა დამმურია თუ სატრფიალო. ივლიტეს ღამე დიდი შავი მითიური კატის სახით ევლინება, ამიტომაც უყვარს ღამესავით შავი, უშნო კატები, მათი ფოსფორის მფქრვეველი თვალები და კრუტუნნი, უყვარს მთვარე და მთვარიან ღამეში სიარული. ესიზმრა თითქოს სავსე მთვარე მისი ნაყოფი იყო, ორად გატყდა, ნახევარი წყალში ჩავარდა. გამოეღვიძა და მდინარისკენ გაემურა. ცაზე მართლაც სავსე მთვარე იდგა, მდინარეში კი მისი ნატეხი დაცურავდა (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 46-48). ივლიტე თანზის აქ გადაეყრება. იწყება მათი ურთიერთობა-თანზისთვი საბედისწერო, რასაც თავადაც გრძნობდა, მაგრამ ბედისწერის სიყვარულის (Amor Fati) ტყვე გახდა. გრიგოლ რომაქიძის აზრით, ბედისწერის ქროლვის დროს კაცი სუსტდება, ბრმავედება, თუკი ამ შეტევისას სიმაძაცეს არ

ინარჩუნებს (ქალღმერთის ძახილი, 2012 გვ. 180). თანზიმ ბედისწერის ტყვეობიდან თავის დაღწევა ვერ შესძლო, მიუხედავად ერთგული მეგობრის ბექუზას გაფრთხილებიდან: გიყვარდეს ივლიტე, მაგრამ არ გასურდესო.

გრიგოლ რომაქიძე ივლიტეს გარეგნობის აღწერისას მის შინაგან ბუნებასაც წარმოაჩენს: ჯიშთან მონადირე ძალს ჰგავს, ტანმაღალია, მკვრივი მკერდით, მშვენიერი ბიბილოებით, თმას მწიფე ასკილის სიწითლე დაჰკრავს, საფარის ტბის ლეგენდური ხარის ინდუშას მზერას ასხივებს ქერა

ცენტურია, სოთი ცხვირი წინ ოდნავ აწეული აქვს ნიშანი ავხორცობისა, ზედა ტუჩი სამხრევად წა-
მოწეული ქვედას ემაღლება, თეთრი აბრეშუმის შალდოსხმული ბატონკაცურად მოაბიჯებს თავის
ძალაში დარწმუნებული, მარდია და გულოვანი. სიცოცხლის ხალისი მისთვის ცხენია და ცხენოს-
ნობაც ემარჯვება, ცაცხვი მისი წმინდა ხეა: ბავშვობაში მისი ფესვების ქვეშ ხშირად გაუძვრენიათ,
რათა ამით ავი ბედი აცდენოდა(ქალღმერთის ძახილი, გვ. 61-62 ; 205-206).

ივლიტე თანზის თეთრი ჯიხვის რქების მოტანას სთხოვს, თავად კი მის ტომს, რომელმაც
თანზი შობა, „ხალიშის“ დღესასწაულისთვის ყვითელი აბრეშუმის წმინდა დროშას „ლომს“ („ლემს“)
უკერავს, რომელშიც ამ წმინდა ცხოველის ძალაა ჩაბუდებული (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ.
184). ივლიტეს მეუღლე აფრთხილებს, რომ ასეთი საკულტო დროშის დამზადებისას სულიერი
სინათლეა აუცილებელიო: „არის კი შენი გული ახლა ისეთი წმინდა, რომ სულში ნათელი გედგას
და დროშა მის შუქზე დაამზადო?“ (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 184-186). თანზი ივლიტეს-
თვის თეთრი ჯიხვს, მისი ტომის წმინდა ცხოველს კლავს, თავს კი იმით იმართლებს, რომ თეთრი
ჯიხვის მოკვლა ტყის დედოფლის, ივლიტესთვის მსხვერპლშეწირვა იყო (ქალღმერთის ძახილი,
2012, გვ.158-161).

თავისუფალი სვანეთის დროშა „ლემი“ („ლომი“ პირველ ივლისს მესტიაში „ხალიშის“ დღე-
სასწაულზე გამოჰქონდათ. დროშას პრივილეგირებული გვარიდან არჩეული მელომე იცავდა. აღ-
ნიშნული ტრადიცია არქაული წარმოდგენების საფუძველზეა აღმოცენებული და ტოტემურ რწმე-
ნა-წარმოდგენებს უკავშირდება: საკრალური ხის იდენტურია, მისი საკულტო ფუნქციები განაყო-
ფიერებასთან და ბუნების ძალთა აღორძინებასთანაა დაკავშირებული. დოღში ლემის“ გამარჯვება
მოსავლიანი წელეწადის გარანტი უნდა ყოფილიყო და დიდი პატივი იყო ამ დღეს ნაკურთხი
დროშის ხელით შეხების უფლების მოპოვება. ეს უფლება კი თანზიმ მოიპოვა და როცა დროშა ჩა-
იბარა მოულოდნელად ყვითელი ფერის ქსოვილზე ივლიტე გელოვანის ხელმოწერა იხილა. თანზი
აცეცხლდა და ააღდა, ხელი შეახო ივლიტეს ნახელავს და ქსოვილში მისი სიმხურვალე შეიგრძნო
(ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 195). მარულა დაიწყო, ამ დროს გაღმა თეთრებში შემოსილი თა-
ნზის ბედისწერა – ივლიტე გამოჩნდა, რომელიც სისხლივით წითელ ცხენს მოაგელვებდა. რობაქი-
ძემ თეთრ (უბიწოებისა და სიწმინდის) ფერებში შემოსილი ივლიტესა და მისი სისხლისფერი
ცხენის (სისხლისფერი – სიკვდილთან ასოცირებული) აღწერისას რომანის ტრაგიკულ დასასრულ-
ზე მიგვანიშნა. ერთგან უფსკრული ისეთი ვიწრო იყო, რომ ქალი ერთი ხელის გაწვდენაზე აღ-
მოჩნდა. ივლიტემ თანზის მზერა ესროლა, რომელშიც სიყვარულის ყველა გრძნობა იყო ჩაქსოვი-
ლი. თანზი ბედისწერის სიყვარულის ტყვე გახდა: გიჟურმა სისმამაცემ აიტაცა, უფსკრულზე გა-
დახტომა სცადა: ცხენითა და დროშიანად უფსკრულში გადაიჩეხა. მოხუცი მონადირე ბექუზა აქ-
ვითინდა, მაგრამ გონება არ დაბინდვია. „დალიმ წაიყვანა თანზი, როგორც რჩეულიო“ – წარ-
მოსთქვა თანზის განუყრელმა მეგობარმა (ქალღმერთის ძახილი, 2012, გვ. 180, 199-200).

რომანი „ქალღმერთის ძახილი“, ჩვენი აზრით, გრიგოლ რობაქიძეს წარმოაჩენს არა მარტო
როგორც ფსიქოლოგიური რომანის დიდოსტატს, აგრეთვე მატრიარქატის დროინდელი ნაყოფი-
ერების ხთონური ქალღვთაების დალის დარგობრივ ღვთაებად ჩამოყალიბების ისტორიის და
სამონადირეო ტრადიციების ექსპერტს.

გამოყენებული ლიტერატურა

აბზიანიძე, ზ. (2020). ქართველი მწერლები ეპოქათა ჭრილში. გრიგოლ რობაქიძე – რეალური და წარმო-
სახული. თბილისი: თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
ISBN 978-9941-9712-8-0.

ამირანიანი. (2019). ქართული ხალხური პროზა. ტ. 2, თბილისი: თსუ გამომცემლობა. ISBN 978-9941-13-884-3.

ბაქრაძე, ა. (2000). კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. მითოლოგიური ენგადი. თბილისი:
„ნეკერი“.

გაგნიძე, ნ. (2021). ცხოვრება ორ სამყაროში, გრიგოლ რობაქიძე. თბილისი: „არტანუჯი“. ISBN 978-9941-494-86-04

ვირსალაძე, ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი: „მეცნიერება“.

თათარაძე, ა. (1976). ძველი ქართული (სვანური) ფერხულები. თბილისი: „მეცნიერება“.

- სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია. თბილისი: „კავკასიური სახლი“.
- რობაქიძე, გრ. (2012). ქალღმერთის ძახილი (მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე), თბილისი: „არტანუჯი“.
- ქუთაისი და ცისფერყანწელები, (2024). კრებული: ქუთაისი და ცისფერყანწელები. რედაქტორები: ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე. თბილისი: „მწიგნობარი“. ISBN 978-9941-516-22-1.
- ჭუმბურიძე, ზ. (1971). რა გქვია შენ ? თბილისი: „ნაკადული“.
- ჰოიზერმანი, თ. (2006). ბედისწერის სიყვარული (Amor Fati). თბილისი: ფონდი „თანამედროვეობა და მემკვიდრეობა“. ISBN 9940-840-9-7.

References:

- Abzianidze, Z. Kartveli Mt'serlebi Epokata Ch'rilshi. [Georgian Writers in Ditch of Epoch]. Tbilisi: TSU gamomtsemloba. ISBN 978-9941-9712-8-0.
- Amiraniani. Kartuli Khalkhuri P'roza II. [Amiraniani. Georgian Folk Prose]. Tbilisi: TSU gamomtsemloba. ISBN978-9941-13-884-3.
- Bakradze, A. K'ardu anu Grigol Robakidzis Tskhovreba da Ghvats'li. Mitologiuri Engadi. [Kardu or Life and Achievements of Grigol Robakidze]. Tbilisi: „Nek'eri“. ISBN 99928-58-19-2.
- Ch'umburidze, Z. Ra Gkvia Shen? [What is Your Name?]. Tbilisi „Nakaduli“.
- Gagnidze, N. Tskhovreba Or Samq'aroshi. [Life in Two Worlds, Grigol Robakidze]. Tbilisi: „Art'anuji“. ISBN 978-9941-494-86-04.
- Hauserman, T. Bedists'eris Siy'varuli (Amor Fati). [Amor Fati, Modern Times and Heritage]. Tbilisi: pondi „Tbilisi da tanamedroveoba“. ISBN 9940-840-9-7.
- Kutaisi da Tsispery'ants'elebi. [Kutaisi and Blue Horns]. Editors: Irma Ratiani, Maka Elbakidze. Tbilisi: „Mts'ignobari“. ISBN 978-9941-516-22-1.
- Robakidze, Gr. Kalghmertis Dzakhili (Mtargmneli Dali Panjik'idze). [The Cry of the Goddess (translated by Dali Panjikidze)]. Tbilisi: „Art'anuji“.
- Sikharulidze, K. K'avk'asiuri Mitologia. [Caucasian Mythology]. Tbilisi: Kavkasiuri Sakhli.
- Tataradze, A. Dzveli Kartuli (Svanuri) Perkhuli. [Ancient Georgian (Svan) Round Dances]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Virsaladze, E. Kartuli Samonadireo Ep'osi. [Georgian Hunting Epos]. Tbilisi: „Metsniereba“.